ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-10/01181522811-17

"31" 08 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქუჩა სტრაბონი №22-ში (საკ. კოდი №01.72.14.040.672) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3662664 07.11.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქუჩა სტრაბონი №22-ში (საკ. კოდი №01.72.14.040.672) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა, მდებარეობა და ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატი, გაბარიტები და მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ღებვის ფერი. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. +33.28 ნიშნულზე სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა.

"10-Г" ფასადი: -0.500 ნიშნულზე 10-1 მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები. 6¹-6 და 3-2 მონაკვეთებში შეცვლილია სადარბაზოში შესასვლელი კარის ნახატები. აღნიშნულ მონაკვეთში კარის ზემოთ დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. +2.690 ნიშნულის ქვევით 10-1 მონაკვეთში ფანჯრების გარშემო დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტები, ხოლო ფანჯრების ძირში კედლების ნაწილი მოპირკეთებულია აგურით. +2.19 ნიშნულზე შემცირებულია აივნის ფილის სისქეები. 7-1 მონაკვეთში +2.690 ნიშნულიდან +29.09 ნიშნულის ჩათვლით აივნებზე გაუქმებულია კაპიტალური მოაჯირები და მის ნაცვლად მოწყობილია მილკვადრატის მოაჯირები. +25.79 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. 4-3 მონაკვეთში +29.09 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. +37.78 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია აივნის გადახურვა, რიგელი და აივანზე დამატებით მოწყობილია მილკვადრატი. +25.99 ნიშნულზე 1 ღერძზე შემცირებულია კაპიტალური კედლის სისქე. აღნიშნულ მონაკვეთში გაუქმებულია პერგოლა. 10-6¹ მონაკვეთში +29.09 ნიშნულზე გაუქმებულია პერგოლა.

"1-10" ფასადი: -1.421 ნიშნულზე შემცირებულია ფანჯრების რაოდენობა, ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ცხაურები და შეცვლილია მათი გაბარიტები. +2.19 ნიშნულზე შემცირებულია აივნის ფილების სისქე, რის გამოც ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა. 7-10 მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა. 5-6 მონაკვეთში +15.89 ნიშნულიდან +25.79 ნიშნულის ჩათვლით შემცირებულია აივნის ფილის სისქე. +15.89 ნიშნულიდან +25.790 ნიშნულამდე 5-6 მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. 5-6 მონაკვეთში +25.790 ნიშნულის ზევით ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა. +25.79 ნიშნულზე 5-6 მონაკვეთში ორი ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ერთი ვიტრაჟი. 4 ღერძზე კაპიტალური მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. 4-5 მონაკვეთში +31.780 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ავეზის გადახურვა, რის გამოც შეცვლილია სახურავის პარაპეტის ფორმა. +25.79 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია შახტა და 2 ღერძის მარცხნივ ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ფორმა. +22.49 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერი.

"ა-კ" ფასადი: ±0.00 ნიშნულის ქვემოთ ა-ე მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები. ა-ბ და გ-დ მონაკვეთებში -2.28 ნიშნულზე შეცვლილია კედლების ფორმა. ე-ვ მონაკვეთში -2.129 ნიშნულზე კედლის ნაწილი შეცვლილია თუნუქის ფურცლებით აღნიშნულ მონაკვეთში -2.19 ნიშნულზე ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი ვ ღერძისკენ. ა ღერძის მარცხნივ -2.69 ნიშნულიდან +22.49 ნიშნულის ჩათვლით ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარ-ფიცრები. დ-ე მონაკვეთში შეცვლილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის ნახატი ა ღერძის მარჯვნივ +2.69 ნიშნულზე აივნის ძირში ფიქსირდება რიგები. +26.99 ნიშნულზე ე-ვ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. გ-დ მონაკვეთში -26.99 ნიშნულიდან +31.78 ნიშნულამდე შეცვლილია კედლის ფორმა. დ-ე მონაკვეთში +26.99 ნიშნულზე გაუქმებულია პერგოლა.

"ვ-ა" ფასადი: ვ-ე მონაკვეთში +2.19 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ხვრელი. ბ-ა მონაკვეთში -1.99 ნიშნულზე გაუქმებულია ფანჯარა. +0.00 ნიშნულის ზევით ბ-ა მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის გაბარიტი +26.890 ნიშნულზე ა ღერძის მარჯვნივ გახსნილია ღიობის გაბარიტები. -29.09 ნიშნულზე ვ-ბ მონაკვეთში ფიქსირდება კოლონები. +33.28 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა. ე-დ მონაკვეთში +33.28 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა.

"გ-გ მონაკვეთების მიხედვით": -2.90 ნიშნულზე 3-2 და 6¹-6 მონაკვეთებში 3-3 და 6¹-6¹ ღერძებისკენ გაუქმებულია კიბის საფეხურები. 4-3 და 6¹-6 მონაკვეთებში შეცვლილია ლიფტის შახტების გაბარიტი დ-ე მონაკვეთში გაზრდილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთი და კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური კედლების სისქე. დ-ე მონაკვეთში ფარეხში შესასვლელ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი 7-7 ღერძისკენ. +0.00 ნიშნულზე 3-2 და 6¹-6 მონაკვეთებში შემცირებულია ლიფტის კარის სიგანე. 3-2 და 6¹-6 მონაკვეთებში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. ვ-ე ღერძის გარეთ გაუქმდა გრუნტზე მოწყობილი პანდუსები. 1-2 მონაკვეთში +25.79 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია ლითონის და კაპიტალური მოაჯირების გაბარიტი. 2-2 ღერძზე გ-ბ მონაკვეთში ტერასაზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. 3-3 გ-გ ღერძზე +25.79 ნიშნულიდან დამატებით მოწყობილია კოლონა. ვ-ა მონაკვეთში ტერასაზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტები. ე-ე 10-10 ღერძებში ტერასაზე დამატებით მოწყობილია შახტა. ა-ბ 6-6¹ მონაკვეთში შეცვლილია ანტესოლის სართულზე კიბის საფეხურების რაოდენობა. 5-6 მონაკვეთში +25.79 ნიშნულზე ტერასაზე ნაწილობრივ შეცვლილია კაპიტალური მოაჯირის ფორმა. +29.09 ნიშნულზე ტერასებზე გაუქმებულია პერგოლები. 3-4 მონაკვეთში +29.09 ნიშნულზე ლიფტის სამანქანოში ლუქს მონაცვლებული აქვს ადგილი. ა-ბ მონაკვეთში აღნიშნულ ნიშნულზე შემცირებულია საფეხურების რაოდენობა. +31.73 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტები. +31.78 ნიშნულზე სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია კიბის სათაესოების გაბარიტები. 5-6 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სათავსო.

ზ.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „მარდაველი ჯგუფი"-ს, ქ. თბილისში, სოფელ დილომში, ჭუჩა სტრაბონი №32-ში (საკ. კოდი №01.72.14.040.672) მდებარე მშენებლობადაწყებული ობიექტის

(მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01181522811-17 01.06.2013წ. განცხადება.
№წ-10/01181522811-17 04.06.2018წ. ბრძანება.

ხანსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ვეფხაძე